

ალფრედ ადლერი

Alfred Adler

ინდივიდუალური ფსიქოლოგია

Individualpsychologie

თარგმანი გერმანული ენიდან
ეკუთვნის ვახტანგ გორგიშვილს

გამომცემლობა „აქტი“

თბილისი / 2024

წინამდებარე მოხსენებაში აღფრულ ადლერი
მოკლე მონახაზს აკეთებს შეხედულებისა, რო-
მელიც ინდივიდუალური ფსიქოლოგიის მისეულ
კონცეფციას დაედო საფუძვლად.

მთარგმნელი: ვახტანგ გორგიშვილი
კორექტორი: ლიზი ქოპილაშვილი
გამომცემელი: გიზო ცაცუა
გამომცემლობა „აქტი“, 2024
ვებ-გვერდი: AKTI.GE
© გამომცემლობა „აქტი“
ISBN 978-9941-8-6547-3

სარჩევი

ინდივიდუალური ფსიქოლოგია.....5-55

არ ვიცი, იქნებით თუ არა მადლიერნი ამ მოხ-
სენების დასრულების შემდეგ, როგორც მე ვარ
მადლიერი თქვენი მობრძანებისთვის, როდესაც
ინდივიდუალური ფსიქოლოგიის მთელ აღჭუ-
რვილობას წარმოგიდგენთ, თუმცა არ ვფიქრობ,
რომ მათ დარწმუნებას შევძლებ, ვინც შესაძლოა,
ჰერ კიდევ არ იცნობს მას და არც წარმოდგენა
შეპქმნია ჩვენი ამოცანის შესახებ. ჩვენი მეცნიე-
რების კრიტიკოსებში ხშირად შემიმჩნევია, რომ
ისინი მეორეხარისხოვანს ეტანებიან: აითვისე-
ბენ რა ჩვენი მუშაობის ინსტრუმენტებს, მათ მია-
ჩნიათ, რომ თუ კლავიატურაში გაერკვნენ, ახლა
საქმის ცოდნით ძალუდთ იმსჯელონ შედეგების

შესახებ, რომელთა მიღწევაც ამ კლავიატურის მეშვეობითაა შესაძლებელი. მაგრამ ეს სულაც არ არის ასე. თუკი ვინმე ფიქრობს, რომ ინდი-ვიდუალური ფსიქოლოგიის ამოცანები და მიღ-წევები არასრულფასოვნების განცდის, უპირა-ტესობისკენ სწრაფვისა და მათი განსხვავებული ფორმების კომპენსაციის აღწერაზე დაიყვანება, ის შემცდარია.

ჩვენ საუბარი გვაქვს ადამიანის სულის ვე-ებერთელა სივრცის შიგნით მიმართულებე-ბისა და გზების შეცნობის შესახებ, იმისა, რომ ვისწავლოთ ინდივიდის ფსიქიკის რთული მე-ლოდიების გაგება, რომლებიც კომპოზიტორის მიერ შექმნილი სიმფონიის მსგავსად გაისმის. ამ გაგებით თითოეული ადამიანი წარმოადგენს შემოქმედს, რადგან ის მთელი რიგი თანდაყო-ლილი ფაქტორებისა და შესაძლებლობებისგან ქმნის რაღაცას. ამ მიზეზით მისი სულიერი ცხო-ვრების სურათი ერთიანობას წარმოადგენს.

ეს თეზისი ინდივიდუალური ფსიქოლოგიის ჭიშკარია, მისი აუცილებელი წინაპირობა. ჩვენ ვერანაირ ნაყოფიერ შედეგს ვერ მივაღწევდით ჩვენს შრომაში, ცოცხლად რომ არ გვქონდეს წარმოდგენილი, რას გვეუბნება სულიერი ცხო-

ვრების ყოველი გამოვლინება. ასევე თუკი ჩვენი კვლევის გზა აგვერეოდა, ადამიანში შესაძლოა ორი სული აღმოგვეჩინა, ან არცერთი. ადამიანის სულისთვის რომ ერთიანობა არ იყოს დამახასი-ათებელი, სიცხადის შეტანის ყოველი მცდელობა ამ გაგებით უპირობოდ განწირული იქნებოდა. აქ ჩვენ დიად წინამორბედთა გამოცდილებას უნდა დავეყრდნოთ, რომლებიც მართალია, არცთუ ზუსტად განმარტავდნენ სულიერ ცხოვრებას, მა-გრამ მის გაგებაში გაცილებით შორს წავიდნენ, ვიდრე მრავალი თანამედროვე მკვლევარი. საკ-მარისი იქნება პიროვნების ერთიანობაზე მინიშ-ნება კანტთან, ამასთან, იმ დროს საუბარიც კი არ იყო რაიმე სახის ფსიქოლოგიურ კვლევაზე. ჩვენ შევძელით, შემდეგი ნაბიჯი გადაგვედგა და შუქი მოგვეფინა პიროვნების ერთიანობის წარმოშო-ბისთვის. რაღა თქმა უნდა, მეცნიერებაში არსე-ბობს მიმართულებები, რომლებსაც ეჭვი შეაქვთ ამ ერთიანობაში და პიროვნების შინაგან წინა-აღმდეგობრიობას მეტად დამაჯერებლად მიი-ჩნევენ. ჩვენ კი ვთვლით, რომ მართლები ისინი არიან, ვინც პიროვნების ერთიანობიდან გამო-დიან და არა საბუნებისმეტყველო-მეცნიერული საფუძვლის მქონე ფილოსოფოსები, რომლე-

ბიც საერთო სურათიდან ცალკეული სიმპტომების ამოგლეჭას არიან ჩვეულნი. ჩვენი აზრით, ისინი ჰგვანან ადამიანს, რომელიც ცალკეული ნოტების მიხედვით ცდილობს მთელი მელოდიის მშვენიერების შეფასებას. ნოტის, აკორდის, ტაქტის მნიშვნელობა შესაძლოა გაგებული იქნას მათი ზოგადი ურთიერთკავშირის განხილვიდან, ამასთან, მელოდია თავიდან მის ერთიანობაში უნდა აღვიქვათ და მთლიანის შესახებ შექმნილი შთაბეჭდილების საფუძველზე ვიმსჯელოთ ცალკეულ ნაწილზე.

მრავალს შესაძლოა უცნაურად მოეჩვენოს, მაგრამ რაიმეს შესახებ მსჯელობა შეიძლება მხოლოდ მთლიანის შეცნობით და ერთიანი კავშირისთვის თვალის მიდევნებით, რაც ყველა კერძო ნაწილს აღწევს. ეს კავშირი, მოძრაობის ეს ხაზი გვიჩვენებს სულიერ ცხოვრებას, რომელშიც არაფერია მშვიდ მდგომარეობაში, რომელშიც თითოეული მოძრავი ელემენტი არის წინამორბედი მოძრაობის დასრულება და ახლის დასაწყისი. ეს შეიძლება ფილმს შევადაროთ, რომლის მოქმედებაც ჩვენ თვალწინვითარდება, როდესაც ყოველი სცენა აღიქმება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ მთლიან სუ-

რათს ვითვალისწინებთ, თუ გონების თვალით მივყვებით მოძრაობის ერთიან ხაზს და მისი ფინალის, სასრული მიზნის წინასწართქმას ვცდილობთ, სადაც ყველაფერი ერთიანდება. წარსულის პოეტები, ქმნიდნენ რა ადამიანთა ხატებს, ისე მოქმედებდნენ, რომ უკვე პირველ აქტში იბმებოდა ძირითადი ხაზები, რომლებსაც გარდუვალად მივყავდით ერთიანი დასასრულისკენ. დიადი კომპოზიტორებიც ასევე პირველივე ტაქტებიდან ამკვიდრებდნენ მთელი სიმფონიის აზრის საფუძველს. სწორედ მათ წარმოგვიდგინეს ადამიანის სულიერი ცხოვრების ჭეშმარიტი სურათი.

ბავშვი მოდის სამყაროში, აღჭურვილი რეფლექსების უნარითა და გარკვეული რაოდენობის მოთხოვნილებებით. ძალიან მალე ის იძულებული ხდება, ყველა თავისი მოძრაობა რომელიმე წამყვან იდეას დაუქვემდებაროს. ჩვენ ძალიან ზოგადად გამოვხატავთ მას, როდესაც ვამბობთ: თვითგადარჩენა, უპირატესობისკენ სწრაფვა, თავდაცვის აუცილებლობა, მაგრამ აღნიშნულის ქვეშ ჩვენ გვესმის, რომ საუბარი, უპირველეს ყოვლისა, ეხება განსაზღვრულ ნაბიჯს, რომელიც ბავშვმა უნდა გადადგას. მისი